საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

N05/08/01 2022 წლის 5 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა შესარჩევი ხელახალი ღია კონკურსის ჩატარებისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-12 მუხლის შესაბამისად, 2022 წლის 5 აგვისტოდან გამოცხადდეს ხელახალი ღია კონკურსი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის ერთ თანამდებობაზე კანდიდატთა შესარჩევად.

2. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა საარჩევნო კომისიაში პარტიის მიერ დანიშნული წევრი, საარჩევნო სუბიექტი ან მისი წარმომადგენელი, აქვს უმაღლესი განათლება, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, აქვს არანაკლებ 5 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

3. საკონკურსო საბუთების წარდგენის ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 14 დღისა (მისამართი: ქ. თბილისი, ათონელის ქ. №25, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საკონკურსო კომისია).

4. თუ ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის თანამდებობაზე არანაკლებ 2-ჯერ მეტი კანდიდატურა არ იქნება წარდგენილი, კონკურსი გრძელდება იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც მოხდება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის თანამდებობაზე არანაკლებ 2-ჯერ მეტი კანდიდატურის წარდგენა.

5. საკონკურსოდ წარდგენილ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს: კანდიდატის სახელი, გვარი, უმაღლესი განათლება, სამეცნიერო ხარისხი (თუ აქვს), მისამართი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს). განცხადებას ხელს უნდა აწერდეს კანდიდატი და მას უნდა დაერთოს:

ა) კანდიდატის 2 ფოტოსურათი;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) უმაღლესი განათლების (სამეცნიერო ხარისხის - თუ აქვს) დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) არანაკლებ 5 წლის შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ასლი;

ვ) კანდიდატის ბიოგრაფია და CV;

ზ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

თ) არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს);

ი) ხელწერილი, რომელიც ადასტურებს პირის შესაბამისობას საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებითა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან;

კ) კანდიდატის წერილობითი თანხმობა.

6. შეიქმნას საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისია (შემდეგში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ტატიანა ხოხიაშვილი	-	ა(ა)იპ - ახალი თაობა - დემოკრატიული საქართველოსათვის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარე
ზაურ ხალილოვი	-	ა(ა)იპ - სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის მდივანი
არნოლდ სტეფანიანი	-	ა(ა)იპ - კავშირი საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს გამგეობის თავმჯდომარე
ნინო ჩხობაძე	-	ა(ა)იპ - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველოს თავმჯდომარე
ლია ახალაძე	-	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
ზვიად გაბისონია	-	შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი
რევაზ კლდიაშვილი	-	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი
გიორგი იაშვილი	-	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო

		აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი
შალვა ქურდაძე	-	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის პროფესორი.

7. კომისიამ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, უზრუნველყოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატების შერჩევა და საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენა.

სალომე ზურაბიშვილი